ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №160/ს

თბილისი „ 16 " ,, ნოემბერი " 2012 წ.

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

1.1. ერთის მხრივ, სსიპ **„სახელმწიფო ზრუნვის სააგენტო"** (შემდგომში - „შემსყიდველი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის ანა ჩაჩხუნაშვილის სახით და მეორეს მხრივ **შპს "თრი დიზაინი"** (შემდგომში - ,,მიმწოდებელი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის თეონა კვაჭაძის სახით.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. „შემსყიდველმა" განახორციელა გამარტივებული შესყიდვა, საკუთარი სახსრების ფარგლებში, სააგენტოს საჭიროებისათვის სავიზიტო ბარათების დამზადების მომსახურების (შესყიდვის ობიექტის ერთგვაროვნება - 30199730 - სავიზიტო ბარათები) შესყიდვაზე და „მიმწოდებელმა" აიღო ვალდებულება მიაწოდოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული მომსახურება 40,00 (ორმოცი ლარი) ლარად (შემდგომში ,,ხელშეკრულების საერთო ღირებულება").

2.2. ხელშეკრულების 2.1. პუნქტში აღნიშნულ ფასში შედის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადი და მოსაკრებელი.

3. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები

3.1. „შემსყიდველის" თანამშრომლების საჭიროებისათვის 100 (ასი) ცალი (მატ ლამინაციით) სავიზიტო ბარათის დამზადების მომსახურება. ერთი ბარათის ღირებულება შეადგენს 0,4 (40 თეთრი) ლარს. სულ - 40,00 (ორმოცი ლარი) ლარი.

4. მომსახურების გაწევის პირობები

4.1. მომსახურების გაწევა და საქონლის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან მიმდინარე წლის 20 ნოემბრის ჩათვლით, მიმწოდებლის ოფისში, მისამართზე: ქ. თბილისი, პეკინის ქ. N10, ბინა N11.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარება ხორციელდება მიღება–ჩაბარების აქტის საფუძველზე, მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესაბამისად.

5.2. მომსახურების გაწევის ვადის დასრულებიდან 10 (ათი) სამუშაო დღეში "მიმწოდებელი" "შემსყიდველს" წარუდგენს გაწეული მომსახურების შედეგად დამზადებული საქონლის მიღება–ჩაბარების აქტს, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურას და სასაქონლო ზედნადებს დადგენილი წესის მიხედვით (იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელი დღგ–ს გადამხდელია, ხოლო თუ მიმწოდებელი არ არის დღგ-ს გადამხდელი, მაშინ მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან).

5.3. ხელშეკრულების 5.2. პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაცია „მიმწოდებელმა" „შემსყიდველს" უნდა წარუდგინოს შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, თამარაშვილის ქ. N15ა, მე-3 სართული, სსიპ „სახელმწიფო ზრუნვის სააგენტო".

6. ანგარიშსწორების პირობები

6.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, მიმწოდებლის მიერ ფაქტობრივად გაწეული მომსახურების ღირებულების შესაბამისად.

6.2. ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტებზე.

6.3. გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება იწარმოებს ერთჯერადად, გაწეული მომსახურების შედეგად დამზადებული საქონლის მიღება–ჩაბარების აქტის, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის, სასაქონლო ზედნადების და ამ ხელშეკრულების 15.2 პუნქტით განსაზღვრული პირის მიერ შედგენილი ინსპექტირების დასკვნის საფუძველზე.

6.4. „შემსყიდველი“ უზრუნველყოფს „მიმწოდებლის“ დაფინანსებას ხელშეკრულების 5.2 პუნქტში აღნიშნული დოკუმენტაციის წარმოდგენიდან არაუმეტეს 10 (ათი) სამუშაო დღეში.

7. მხარეთა ვალდებულებები:

7.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

7.1.1. კეთილსინდისიერად და მაღალპროფესიონალურ დონეზე შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება;

7.1.2. „შემსყიდველს“ მომსახურება გაუწიოს ამ ხელშეკრულების პირობების განუხრელი დაცვით და მიაწოდოს „შემსყიდველს“ უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი;

7.1.3. უზრუნველყოს გამოვლენილი დეფექტებისა და ნაკლოვანების აღმოფხვრა საკუთარი ხარჯით, შემსყიდველისაგან შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) დღის ვადაში;

7.1.4. დროულად განიხილოს „შემსყიდველის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან;

7.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია:

7.2.1. უზრუნველყოს „მიმწოდებლის“ დროული და სრული დაფინანსება.

7.2.2. დროულად განიხილოს „მიმწოდებლის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

8. მხარეთა უფლება

8.1. „მიმწოდებელს“ უფლება აქვს:

8.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.

8.2 „შემსყიდველს“ უფლება აქვს:

8.2.1 აწარმოოს ხელშეკრულების პირობების შესრულების მონიტორინგი.

8.2.2. უარი განაცხადოს უხარისხო მომსახურების მიღებაზე.

9. ფორს-მაჟორი

9.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი

9.2. ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოსვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

10.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს "შემსყიდველი" არ არის ვალდებული წარუდგინოს "მიმწოდებელს" რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან

დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.
10.2. წინამდებარე ხელშეკრულების ფასების შეცვლა დასაშვებია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.
10.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს „შეთანხმების" სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა
11.1. „შემსყიდველმა" და „მიმწოდებელმა" ყველა ღონეს უნდა მომართონ, რათა პირდაპირი მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების პირობებთან დაკავშირებით.
11.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში „შემსყიდველი" და „მიმწოდებელი" ვერ შეძლებენ სადავო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს შესაბამის სასამართლოს.

12 ხელშეკრულების შესრულების შეფერხება
12.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების (შეთანხმების) შეტანის გზით.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა
13.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულების ან შეუსრულებლობის შემთხვევაში მხარეებს ეკისრებათ პირსაგამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,1%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
13.2. საჯარიმო სანქციების დაკისრება და გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან;
13.3. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1%-ს, მეორე მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა
14.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:
14.1.1. მხარეთა შეთანხმებით;
14.1.2. ერთი მხარის მიერ 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის;
14.1.3. ერთ-ერთი მხარის ინიციატივით, მეორე მხარის წერილობითი გაფრთხილებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში;
14.1.4. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

15. ინსპექტირების პირობები
15.1. ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე შემსყიდველი ახორციელებს კონტროლს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.
15.2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს სსიპ „სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს" დირექტორის შესაბამისი ბრძანებით განსაზღვრული უფლებამოსილი პირი.
15.3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლის მიზანს წარმოადგენს:

15.3.1. გაწეული მომსახურების მოცულობის, ხარისხისა და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;

15.3.2. ინსპექტირების დასკვნის მომზადება და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება;

15.3.3. საქართველოს კანონმდებლობით და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ღონისძიებების განხორციელება;

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

16.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე.

16.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

17. განსაკუთრებული პირობები

17.1. ხელშეკრულება შედგენილია 4 ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

17.2. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება ''მიმწოდებელთან'', სამი – ''შემსყიდველთან''.

„შემსყიდველი“
სსიპ „სახელმწიფო ზრუნვის სააგენტო”
ქ. თბილისი წერეთლის გამზ. №144
ს/ს ,,საქართველოს ბანკი‘‘
კოდი №BAGAGE22
ა/ა№GE65BG0000000878284200
ს/კ№ 202465153

ანა ჩარხუნაშვილი
დირექტორი

„მიმწოდებელი“
შპს „თრი დიზაინი“
ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. და მიცკევიჩის ქუჩას შორის
ს/ს „პროკრედიტ ბანკი"
კოდი №MIBGGE22
ა/ა №GE22PC0293600100010069
ს/კ№ 205287438

თეონა [illegible]ვაჭაძე
დირექტორი

LTD "TREE DESIGN"
Advertising Company

შპს "თრი დიზაინი"
ს/კ 205287438

თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირსა
და მიცკევიჩის ქუჩას შორის

995 32 2 14 15 08
info@treedesign.ge
www.treedesign.ge

ინვოისი №	**781**
ინვოისის თარიღი	11/16/2012
ბანკის დასახელება	სს "პროკრედიტ ბანკი" რუსთაველის ფილიალი
ბანკის კოდი	MIBGGE22
ანგარიშის ნომერი	GE22PC0293600100010069

დამკვეთი	სსიპ "სახელმწიფო ზრუნვის სააგენტო"		
საიდენტიფიკაციო კოდი	**202465153**	მისამართი	თბილისი, თამარაშვილის **15ა**

დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	მთლიანი თანხა
სავიზიტო ბარათი მატ ლამინაციით	100	0.400	40.00
			0
			0
			0
			0
			0
			0
			0
			0
			0
			0
		ჯამი	**40.00**

ორმოცი ლარი 00 თეთრი

შპს "თრი დიზაინი"
თეონა კვაჭაძე, დირექტორი

"Tree Design" LTD
Grow With Us